

ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1

2020 წლის 6 იანვარი

ქ. თბილისი

ერედვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება“ (კოდი 02 01 05) განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ერედვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება“ (კოდი 02 01 05) განხორციელების წესი №1 დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ერედვის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ემზარ ბერუაშვილი

დანართი №1

ერედვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება“ (კოდი 02 01 05) განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ერედვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება“ (კოდი 02 01 05) განხორციელების წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს საინიციატივო ჯგუფის მიერ საერთაშორისო ან ადგილობრივი დაფინანსების (გრანტი) მოზიდვის შემთხვევაში პროექტების თანადაფინანსების პროცედურებსა და პირობებს ერედვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი ქვეპროგრამის ფარგლებში.

2. ამ წესის შესაბამისად, ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსების მიზნით, ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი ქმნის პროექტების განმხილველ სამუშაო ჯგუფს (შემდგომში – ჯგუფი). ჯგუფის საქმიანობის წესი განისაზღვრება ჯგუფის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი

3. ქვეპროგრამის განმახორციელებელია ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებლის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახური (შემდგომში – სამსახური).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ა) საინიციატივო ჯგუფი - პირთა გაერთიანება, რომელსაც აქვს იურიდიული პირის სტატუსი და რომელსაც მოპოვებული აქვს საერთაშორისო ან ადგილობრივი დაფინანსება.

ბ) თანადაფინანსება – ერედვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება არაუმეტეს 10%-ის ოდენობით;

დ) ქვეპროგრამა – ერედვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება“ ქვეპროგრამა (კოდი 02 01 05)

ე) დონორი – ადგილობრივი ან საერთაშორისო ორგანიზაცია, საელჩო ან დაფინანსების გაცემის უფლების მქონე სხვა სუბიექტი.



მუხლი 3. ქვეპროგრამის მიზანი

ქვეპროგრამის მიზანია ინიციატივების მხარდაჭერა და ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება, რომელიც სარგებელს მოუტანს ერედვის მუნიციპალიტეტიდან იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობას და გააუმჯობესებს მათ სოციალურ პირობებს.

მუხლი 4. თანადაფინანსების მიმღები სუბიექტები

ამ წესის შესაბამისად თანადაფინანსების მიმღები სუბიექტი არის იურიდიული პირის სტატუსის მქონე საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც დონორისგან მოპოვებული აქვს დაფინანსება ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად.

მუხლი 5. განცხადების წარდგენა

1. საინიციატივო ჯგუფმა დაფინანსების მისაღებად ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის განცხადება;

ბ) წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და პირადობის მოწმობის ასლი;

გ) გრანტის მოსაპოვებლად დონორისათვის წარდგენილი განაცხადი/პროექტი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად;

დ) გრანტის მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2. სამსახური ამოწმებს განცხადების და თანდართული დოკუმენტების ამ წესთან შესაბამისობას. თუ წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს სამსახური განმცხადებელს ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარულ დღეს.

3. სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება არ განიხილება.

4. განცხადება ჯგუფს არ ეგზავნება განსახილველად და განმცხადებელს წერილობით ეცნობება დასაბუთებული უარყოფითი პასუხი, თუ განცხადება არ აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 6. განცხადების განხილვა და თანადაფინანსება

1. თუ მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი განცხადება აკმაყოფილებს ამ წესითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სამსახური განცხადებას თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განსახილველად უგზავნის ჯგუფს.

2. ინფრასტრუქტურული პროექტის თანადაფინანსების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს პროექტის ღირებულების 10%-ს.

3. განსახილველი ინფრასტრუქტურული პროექტი მიზნად უნდა ისახავდეს ერედვის მუნიციპალიტეტიდან დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, დევნილი მოსახლეობის ჩასახლების ადგილების ინფრასტრუქტურის განვითარებას ან/და კეთილმოწყობას.

4. ჯგუფი განცხადების განხილვისა და დაფინანსების ოდენობის განსაზღვრისას, ადგენს განცხადების შესაბამისობას ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან და მიზნებთან, ასევე, განიხილავს პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობას ერედვის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის.

5. განცხადების განხილვისას მხედველობაში მიიღება პროექტის დასაბუთებულობა და მისი საჭიროება, აგრეთვე საინიციატივო ჯგუფის წევრთა გამოცდილება და უნარი განახორციელონ წარმოდგენილი პროექტი.

6. ჯგუფი უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა წინასწარ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.



7. ჯგუფი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას პროექტის თანადაფინანსების ან თანადაფინანსებაზე უარის თქმის თაობაზე.
8. ჯგუფის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი და წარედგინება ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.
9. ჯგუფის მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ერედვის მუნიციპალიტეტის მიერ გასაცემი თანხის ოდენობის შესახებ.
10. ჯგუფი უფლებამოსილია კონკრეტული პროექტის დაფინანსების განხილვისას დაადგინოს მისი მონიტორინგის შესაბამისი მექანიზმი.
11. „ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება“ ქვეპროგრამიდან თანხის გამოყოფა ხდება ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებლის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

მუხლი 7. მხარეთა შეთანხმება

1. ერედვის მუნიციპალიტეტსა და საინიციატივო ჯგუფს შორის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება მათ შორის გაფორმებული წერილობითი შეთანხმებით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმების საფუძველია ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.
3. შეთანხმების გაფორმების, შეჩერების, შეცვლის და შეწყვეტის წესი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 8. კონტროლის განხორციელება

ამ წესის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლს ახორციელებს სამსახური, სამსახურის მიერ წინასწარ განსაზღვრული მონიტორინგის მექანიზმებით.

